საქართველოს
სახალხო დამცველი

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

26 ნოე 2024 წ.

KA000032226797824

№ **127**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი თანდართული სახით (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 14 ივლისის N93 ბრძანება.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა დაევალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი

დანართი N1

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი

2024 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი

მუხლი 1. მიზანი

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი (შემდგომში - „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი“) ადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის (შემდგომში - „აპარატი“) მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებს შესახებ ნორმებს. ამ მიზნით წინამდებარე წესი განსაზღვრავს:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ იმ პირთა მიმართ საქმეთა შესწავლის განხილვის/შესწავლის საკითხს, რომლებთანაც აპარატი არის სახელშეკრულებო ან/და სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში;

ბ) სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების იდენტიფიცირების წესს;

გ) სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებში განსახორციელებლი რეაგირების შეთანხმების წესს.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ“ კონვენციის ფაკულტატური ოქმით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 17 მაისის №56 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესით და საქართველოს სახალხო დამცველის

სამართლებრივი აქტებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული ცალკეული დავალებებით.

მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესის მოქმედების სფერო

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის იმ სტრუქტურულ ერთეულებზე/პირებზე, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით (დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 17 მაისის №56 ბრძანებით) განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განიხილავენ და შეისწავლიან ადამიანის სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტებს.

2. წინამდებარე წესების შესრულება სავალდებულოა სახალხო დამცველის აპარატის ყველა თანამშრომლისთვის და მისმა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **აპარატი** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

ბ) **აპარატის სტრუქტურული ერთეული** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეული;

გ) **საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა** - ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სახალხო დამცველის აპარატში შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა და მოძრაობა;

დ) **სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა** - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ იმ პირთა მიმართ საქმეთა შესწავლის განხილვის/შესწავლის შემთხვევა, რომლებთანაც აპარატი არის სახელშეკრულებო ან/და სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში და არსებობს გარემოებები, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნეს კერძო ინტერესის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენად სახალხო დამცველის აპარატის მიერ მისაღებ შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე.

მუხლი 5. აპარატის სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებები სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების პროცესში

1. აპარატის საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი ვალდებულია:

ა) შეადგინოს მომწოდებლების რეესტრი (მიმწოდებლის დასახელების, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის და მოქმედების ვადის, ხელშეკრულების საგნის მითითებით), რომელთანაც აპარატს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესყიდვის თაობაზე და უზრუნველყოს აღნიშნული რეესტრის მიწოდება უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტისათვის;

ბ) უზრუნველყოს მომწოდებელთა რეესტრის განახლება ყოველ 2 თვეში ერთხელ და განახლებული რეესტრის მიწოდება უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტისათვის.

2. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია:

ა) შეადგინოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დროებითი სამუშაოების შესასრულებლად დასაქმებულ პირთა/ექსპერტთა (მათ შორის, საგრანტო პროექტებში დასაქმებულ პირთა) ბაზა (სახელის, გვარის, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის და მოქმედების ვადის, ხელშეკრულების საგნის მითითებით) და უზრუნველყოს აღნიშნული რეესტრის მიწოდება უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტისათვის;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ბაზის განახლება ყოველ 2 თვეში ერთხელ და განახლებული ინფორმაციის მიწოდება უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტისათვის.

3. უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტის ვალდებულია:

ა) სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ (მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა) შეატყობინოს განმცხადებელს განცხადების პირველადი შემოწმების ეტაპზე;

ბ) სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევის იდენტიფიცირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქმის შემსწავლელ სტრუქტურულ ერთეულს გაცხადების არსებითად შესასწავლად გადაცემის ეტაპზე.

4. საქმის არსებითად შემსწავლელი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია:

ა) სავარაუდო ინეტერსთა კონფლიქტის არსებობაზე გონივრული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სახალხო დამცველის კურატორ მოადგილესთან შეათანხმოს შემდგომი რეაგირების განხორციელების საკითხი.

ბ) საქმის არსებითად შესწავლის პროცესში ჩართული პირის აცილების საფუძვლის არსებობისას, იხელმძღვანელონ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მაისის N59 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესით“ განსაზღვრული შესაბამისი ნორმებით.

5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმეზე შემდგომი რეაგირების საკითხს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში წყვეტენ საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის მოადგილეები ერთობლივად.